

Nanoment<sup>®</sup>

HP 1343 CONS

მაღალი ეფექტურობის მქონე წყალშთანთქმელი / სუპერაბსორბენტი ქიმიური დანამატი  
თხევადი ბეტონისთვის

### პროდუქტის აღწერა

Nanoment HP 1343 CONS წარმოადგენს პოლიკარბოქსილატის ბაზაზე დამზადებულ, მაღალი ეფექტურობის მქონე წყალშთანთქმელ / სუპერაბსორბენტი ქიმიურ დანამატს, რომელიც შექმნილია სხვადასხვა სახის ბეტონის წარმოების მიზნებისთვის, ჩვეული თხევადიდან თვითკუმშვად ბეტონამდე. Nanoment HP 1343 CONS უზრუნველყოფს მაღალ გათხევადობას და ძვრადობის შენარჩუნების პარამეტრებს.

### გამოყენება

Nanoment HP 1343 CONS გამოყენება რეკომენდირებულია ქვემოთ მითითებული მიზნებისთვის:

- ბეტონის წარმოება ჩვეული და მაღალი ჩაწყობადობის კლასისთვის
- თვითკუმშვადი ბეტონის წარმოება
- სასაქონლო ბეტონის წარმოება
- ახლოს და მჭიდროდ ჩაწყობილი ფოლადის არმატურისთვის განკუთვნილი ბეტონი
- ბეტონის წარმოება წყლის და ცემენტის დაბალი თანაფარდობით, ძვრადობის დანაკარგის გარეშე
- მაღალი სიმტკიცის ბეტონის წარმოება

### უპირატესობები და მახასიათებლები

- Nanoment HP 1343 CONS წარმოადგენს პოლიკარბოქსილატის ბაზაზე დამზადებულ, მაღალი ეფექტურობის მქონე წყალშთანთქმელ / სუპერაბსორბენტი ქიმიურ დანამატს, რომელიც შექმნილია თხევადი ბეტონის წარმოების მიზნებისთვის. სპეციალურად შემუშავებული და ოპტიმიზირებული ქიმიური სტრუქტურის მეშვეობით, იგი მაღალი ეფექტურობით უზრუნველყოფს ცემენტის ნაწილაკების დისპერსიას და ხელს უშლის ფლოკულაციას.
- უზრუნველყოფს მაღალ დენადობას გამკვრივების დროის ზრდის გარეშე.
- უზრუნველყოფს დამუშავებადობის თვისების შენარჩუნებას.
- Nanoment HP 1343 CONS ქიმიური შემადგენლობით წარმოადგენს პოლიმერს ძირითადი და გვერდითი ჯაჭვებით. მისი ადსორბირება ხდება ცემენტის ნაწილაკების ზედაპირზე და ცემენტის ნაწილაკების შესანიშნავ დისპერსიას უზრუნველყოფს გვერდითი ჯაჭვის სტერიული თვისებების მეშვეობით. მითითებული მექანიზმის მეშვეობით, Nanoment HP 1343 CONS წარმოადგენს მაღალი ეფექტურობის მქონე დისპერსიულ ნივთიერებას, რომელიც თვითკუმშვადობას უზრუნველყოფს წყლისა და ცემენტის დაბალი თანაფარდობით.
- წყლის 40%-ით შემცირება სამიზნე დამუშავებადობის მიღწევით, შესაძლებელია Nanoment HP 1343 CONS სათანადოდ გამოყენების შემდგომ. ამგვარი წყლის დიდი

რაოდენობით შემცირება და წყლისა და ცემენტის შემცირებულ თანაფარდობას, შედეგად მოჰყვება ადრეული სიმტკიცის მიღწევის ზრდა, საბოლოო სიმტკიცის ზრდა, გაზრდილი გამძლეობა და სხვა წყლისა და ცემენტის დაბალ თანაფარდობასთან დაკავშირებული სხვა სასარგებლო თვისებები, როგორიცაა ქლორიონების შეღწევადობის შემცირება.

- უზრუნველყოფს დამუშავებადობის მნიშვნელოვან ზრდას ასადუღაბებელი წყლის რაოდენობის ზრდის გარეშე და ამრიგად უზრუნველყოფს მნიშვნელოვან მოხერხებულობას შერევისას, ტრანსპორტირებისას, მოწყობისას და ახლად ჩასხმული ბეტონის გამკვრივებას.
- აუმჯობესებს სიმტკიცეს და მდგრადობას და უზრუნველყოფს განსაზღვრული მიზნის კონსისტენციის მიღწევას წყლის და შემკვრელი ნივთიერების თანაფარდობის მეშვეობით.
- აღნიშნული წარმოადგენს ქლორის შემცველობის არმქონე დანამატს, რომელიც არ შეიცავს საარმატურო რკინის კოროზიის გამომწვევ არცერთ ნაერთს.

### მოხმარების წესები, რჩევები და გაფრთხილებები

- Nanoment HP 1343 CONS უნდა დაემატოს ასადუღაბებელ წყალს. ალტერნატივის სახით, აღნიშნული შესაძლოა დაემატოს ახლად მომზადებულ ნარევს ასადუღაბებელი წყლის 2/3-თან ერთად, ანაზელის წყლის 1/3-ის შემცველობის ახალი ნარევის მიღების შემდეგ. უშუალოდ ახლად მომზადებულ ნარევეზე დამატების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას დამატებით არევა. HP 1343 CONS არ უნდა დაემატოს მშრალ ნარევს.
- • გამომდინარე იქედან, რომ ქიმიური დანამატების დოზაზე დიდ გავლენას ახდენს ცემენტის სახეობა, ბეტონის შემადგენელი ელემენტების თვისებები და ბეტონის ნარევის კომპონენტების შერჩევა, რეკომენდებულია, დანამატების ოპტიმალური დოზის განსაზღვრა განხორციელდეს საცდელი ანაზელების საფუძველზე.
- როგორც წესი, Nanoment HP 1343 CONS, თავსებადია პორტლანდცემენტის იმ ტიპებთან, რომლებიც აღწერილია EN 197-1-ში. ამასთან, მისი გამოყენება შესაძლებელია ბეტონის ნარევებში, რომლებიც შეიცავს ისეთ მინერალურ დანამატებს, როგორიცაა მიკროკაჟმიწა, წანატაცი ნაცარი და ბრმმედის გრანულირებული წიდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბეტონში მინერალური დანამატების არსებობა მეტწილად განსაზღვრავს დანამატების საჭირო დოზას კონკრეტული მიზნისთვის ან აქტივობებისთვის. Nanoment HP 1343 CONS-ის ოპტიმალური დოზა უნდა განისაზღვროს საცდელი ანაზელების საფუძველზე.



- Nanoment HP 1343 CONS არ არის თავსებადი სულფირებული ნაფტალინისა და სულფირებული მელამინის ბაზაზე დამზადებულ ქიმიურ დანამატებთან. გამოვლენილი არ არის სხვა ქიმიურ დანამატებთან შეუსაბამობის შემთხვევები და შესაძლებელია მისი გამოყენება სხვა დანამატებთან იმავე ნარევში. კომბინირებული მოხმარების დროს, სხვადასხვა ტიპის ქიმიური დანამატები არ უნდა აირიოს ერთმანეთში და გამოყენებული უნდა იქნას ცალ-ცალკე. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, დაუკავშირდით Lyksor-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს.

### რეკომენდებული დოზა

Nanoment SP NT-ის რეკომენდებული დოზა ბეტონის ზოგადი სამუშაოებისთვის მერყეობს შემკვრელი მასალის (ცემენტი+მინერალური დანამატი) მასის 0.4%-დან 1.2 %-მდე. წყლის შემცირების და სუპერმაპლასტიფიცირებელი მაქსიმალური თვისებები იზრდება გაჯერების წერტილამდე დოზის ზრდის შესაბამისად. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჭირო დოზა განსხვავდება ცემენტის და მინერალური ნარეგების სახეობისა და რაოდენობის, წყლისა და შემკვრელი მასალის თანაფარდობის, სხვა ინგრედიენტების თვისებების და გარემოს ტემპერატურის შესაბამისად. დადგენილი ან რეკომენდირებული დოზირების გადაჭარბებამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი განშრევა ან გამყარების დროის გაზრდა. დამატებით, სასურველი შედეგის მისაღწევად Nanoment HP 1343 CONS-ის გათვალისწინებული დოზა განსხვავებული იქნება ბეტონის თითოეულ ნარევთან მიმართებაში. შესაბამისი დოზა უნდა განისაზღვროს საცდელი ანაზღაურების საფუძველზე, რათა აღნიშნულმა არ გამოიწვიოს განშრევა და/ან არასასურველი გვერდითი მოვლენები. ცნობილია, რომ C3A, SO3 შემადგენლობა და ცემენტის წვრილმარცვლოვნება არსებით ზეგავლენას ახდენენ Nanoment HP 1343 CONS-ის შესაბამის დოზაზე.

### ტექნიკური თვისებები

|                       |                                                        |
|-----------------------|--------------------------------------------------------|
| ფერი და ფორმა         | მოყვითალო სითხე                                        |
| ქიმიური ბაზა          | პოლიკარბოქსილატი                                       |
| სიმკვრივე (კგ/ლ)      | 1.10 – 1.14 (+20 °C ტემპერატურაზე)                     |
| ქლორ-იონის შემცველობა | მაქს. 0.1% - არ შეიცავს ქლორს, EN 934-2-ის შესაბამისად |
| ტუტეს შემცველობა      | მაქს. 5%                                               |
| pH                    | 3 – 7                                                  |
| შესაბამისობა          | TS EN 934-2 ცხრილი 3.1 – 3.2                           |

### ინსტრუმენტების გასუფთავება

Nanoment HP 1343 CONS პროდუქტთან დაკავშირებით გამოყენებული ინსტრუმენტების გასუფთავება შესაძლებელია მარტივად, წყლის გამოყენებით.

### შეფუთვა

25 კგ drum

1000 კგ IBC

მიწოდება დიდი მოცულობის პარტიებით

### შენახვის პირობები და შენახვის ვადა

Nanoment HP 1343 CONS-ის შენახვის ვადა შეადგენს 12 თვეს, რეკომენდირებული შენახვის პირობებში ორიგინალი შეფუთვით შენახვის შემთხვევაში. Nanoment HP 1343 CONS შენახული უნდა იქნას მშრალად, +5 °C-დან+35 °C-მდე ტემპერატურაზე. მოარიდეთ პროდუქტი პირდაპირი მზის სხივებს და ყინვას.

### უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

კანზე მოხვედრის შემთხვევაში, დაიბანეთ კანი სუფთა წყლით. თვალში მოხვედრისას, დაიბანეთ თვალი სუფთა წყლით. თვალში მოხვედრისას, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ პასპორტი მასალის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (MSDS).



Nanoment HP 1343 CONS – პროდუქტის ტექნიკური მახასიათებლები

განახლების თარიღი: 19.08.2019

კორექტირების თარიღი : 2019-01

### სამართლებრივი პასუხისმგებლობა

პროდუქტის პასპორტში მოცემული ტექნიკური სახის რეკომენდაციები ემყარება ბეტონის იმ ნარევებზე ჩატარებულ ექსპერიმენტულ კვლევებს, რომლებიც შემუშავდა LYKSOR-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის ლაბორატორიებში. მიღებული შედეგები შეიძლება, არ გამოდგეს ბეტონის სხვა ნარევებისთვის, რომლებიც მიღებულია Lyksor-ის ცდებში გამოყენებული მასალისგან განსხვავებული მასალებისგან. ყველა კლიენტი და მომხმარებელი ვალდებულია, თავად განსაზღვროს LYKSOR-ის შესაბამისი პროდუქცია საკუთარი მიზნებისთვის, და შეამოწმოს LYKSOR-ის პროდუქციის შესაბამისობა თავიანთი საჭიროებისთვის. გთხოვთ, დაუკავშირდით LYKSOR-ს, შესაბამისი პროდუქტის შესარჩევად და მათი მოხმარების წესებზე ინფორმაციის მისაღებად. LYKSOR-ი არ არის პასუხისმგებელი მისი პროდუქტების არასათანადო გამოყენებაზე.